



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2012 წლის 6 ივლისის  
№ 733 დადგენილებით  
მოდირიცირებულია  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2021 წლის 12 აპრილი  
№ 01-05-04/38 დადგენილებით

## დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

### პროგრამის სახელწოდება

არქიტექტურა

Architecture

### ფაკულტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

Faculty of Architecture, Urban Planning and Design

### პროგრამის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი მედეა მელქაძე

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია

არქიტექტურის დოქტორი  
(Doctor in Architect)

*მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის 60 კრედიტის და კვლევითი კომპონენტის შესულების შემთხვევაში.*

*პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 3 წელს.*

### სწავლების ენა

ქართული

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.). გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.

### პროგრამის აღწერა

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით ECTS სისტემით; 1 კრედიტი შეესაბამება 25 აკადემიურ საათს და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე

დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების განაწილება მოცემულია სასწავლო გეგმაში.

პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი).

სასწავლო კომპონენტის ამოცანებია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური მომზადება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების განსახორციელებლად. სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით მომზადებაში, მომავალ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს.

სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც განთავსდება ვებ-გვერდზე: <https://gtu.ge/Orders/>

სასწავლო კომპონენტი ხორციელდება I-IV სემესტრებში და მისი შემადგენელი, სემესტრებზე გადანაწილებით, მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში.

პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის ეტაპებია: კვლევის პროექტი/პროსპექტუსი I და II, კოლოკვიუმი - 1, კოლოკვიუმი - 2, კოლოკვიუმი - 3, წინასწარი დაცვა და დისერტაციის დასრულება-დაცვა. კვლევითი კომპონენტის ეტაპების შესრულების რიგითობის დაცვა არის სავალდებულო და თითოეული ეტაპის შესრულება წარმოადგენს შემდგომის წინაპირობას.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

➤ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე [https://gtu.ge/Learning/doq\\_debuleba.php](https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php)

## პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამა „არქიტექტურა“-ს მიზანია ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შეეძლება: არქიტექტურის დარგში მაღალ პროფესიულ დონეზე სამეცნიერო ანალიტიკური კვლევების და სამუშაოების წარმართვა; არქიტექტურული პრობლემების სიდრმისეული მეცნიერული შესწავლა-განალიზება, დასაბუთებული დასკვნების გამოტანა და მათ შესახებ კორექტული და ობიექტური მსჯელობა; შესაბამისი მიმართულებით პედაგოგიური მუშაობა: ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელობა.

## სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

### ცოდნა და გაცნობიერება

არქიტექტურის სფეროში არსებულ მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც საქმიანობის პროცესში ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. დაგროვილი ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების საფუძველზე მოვლენების ახლებურად გაცნობიერება.

### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

არქიტექტურის დარგში ინოვაციური, ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება; მშენებლობაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების და ენერჯიადამზოვი პროექტების შემუშავება; კვლევის შედეგების საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო გამოცემებში პუბლიკაცია; დაგროვებული ცოდნის საფუძველზე პედაგოგიური მღვაწეობის და პრაქტიკული საქმიანობის წარმართვა.

### დასკვნის უნარი

ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნება. ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება; მონაცემების ინტერპრეტირება; მიზნებისა და კრიტერიუმების ჩამოყალიბება; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; ხელთ არსებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის

საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

**კომუნიკაციის უნარი**

გრამატიკული წესების დაცვით ლაკონურად, გასაგებად და ლოგიკურად გამართულად წერა; ზედმეტად გართულებული ენისთვის თავის არიდება; არქიტექტურის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ინფორმაციის მომზადება; კომპლექსური საკითხების ზეპირი ჩამოყალიბება და საჯარო გამოსვლების წარმართვა.

**სწავლის უნარი**

სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, პროფესიული საქმიანობის პროცესში ახალი იდეების შემეცნებისთვის მზაობა. საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება.

**ღირებულებები**

ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება. არქიტექტურის სფეროში პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა.

**სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები**

ლექცია  სემინარი (ჯგუფში მუშაობა)  პრაქტიკული  ლაბორატორიული  სამეცნიერო-თემატური სემინარი  დამოუკიდებელი მუშაობა  კონსულტაცია  კვლევითი კომპონენტი  დისერტაციის გაფორმება  დისერტაციის დაცვა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.
3. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.
4. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების – სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. "კეისების" ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. "კეისი" წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად აწვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უწვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების

პროგნოზირების უნარი.

5. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:  
პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;  
დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);  
შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;  
შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;  
გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;  
უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
6. **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
7. **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
8. **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
9. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.
10. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
11. **წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.
12. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
13. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** - პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შემწილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი უნდა შესრულდეს ინდივიდუალურად; დასრულების შემდეგ პროექტი შესაძლებელია წარედგინოს ფართო აუდიტორიას.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებები:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებები:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის შეფასების სისტემის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ბმულზე:

[https://gtu.ge/Science/PhD\\_pdf/danarTi\\_3\\_Sefasebis\\_wesi\\_2020.pdf](https://gtu.ge/Science/PhD_pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2020.pdf)

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა მოცემულია ბმულზე:

[https://gtu.ge/Science/PhD\\_pdf/danarTi\\_3\\_Sefasebis\\_wesi\\_2020.pdf](https://gtu.ge/Science/PhD_pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2020.pdf)

## დასაქმების სფერო

- ადგილობრივი თვითმმართველობის სანებართვო, მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ორგანოები;
- ქალაქის ურბანული დეველპერების სამსახური;
- გარემოს დაცვის სამსახური;
- გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახური;
- არქიტექტურული და დიზაინური საპროექტო ორგანიზაციები;
- არქიტექტურულ-სამშენებლო დეველოპერული კომპანიები;
- მასმედიის საშუალებები და სარეკლამო კომპანიები;
- სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციები.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. მოცემულ პროგრამას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი:

- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი მულტიმედიური ლაბორატორია; სპეციალური ხელსაწყო-დანადგარებით (ანემომეტრი ფრთებიანი(ACO-3), ასპირაციული ფსიქრომეტრი(MB-4M), ლუქსმეტრი (IO-16), აქტინომეტრი, პირანომეტრი, ალბედომეტრი, გალვანომეტრი, გამაძლიერებელი (Φ 5031), ხმის გენერატორი, სასწავლო(ΓΘIIIIM-75), თერმოგრაფი, გიგროგრაფი, ქარის მიმართულების და სიჩქარის სტაციონარული გამზომი, ამპერმეტრი (3TII-M), ავტოტრანსფორმატორი (AOCK – 0,4172), ავტოსაკომპენსაციო მიროვოლტნაოამპერმეტრი (P 325), ციფრული ვოლტმეტრი მაინტეგრირებული (B2-23), ბლოკი (AK.6PB.367.294), ელექტროგამზომი მარწუხები (II90), მუდმივი დენის პოტენციომეტრი (KII-59, класс 0,05)) აღჭურვილი არქიტექტურული ფიზიკის ლაბორატორია;
- სტუ-ს ცენტრალური სამეცნიერო და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა;
- არქიტექტურული განათლების ხელისშემწყობი სასწავლო-სამეცნიერო და საპროექტო ცენტრი.

მოცემულ პროგრამას ემსახურება ფაკულტეტის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები, მათ შორის მოწვეული პროფესორები:

1	აბულაძე გურამი	10	მახარაშვილი თენგიზი	19	ფირცხალავა ვახტანგი
2	ბერეკაშვილი ქეთევანი	11	მელქაძე მედეა	20	ფოჩხუა მარიკა
3	ბერიშვილი ბიძინა	12	მურღულია ირაკლი	21	ქოჩლაძე ნათია
4	ბერიძე ლევანი (მოწვ.)	13	მუჯირი ვანდა	22	ჩაჩავა ნინო
5	ბოლქვაძე მერაბი (მოწვ.)	14	მჭედლიშვილი ვალერი	23	ჩიგოგიძე თინათინი
6	ბოსტანაშვილი დავითი	15	ნაცვლიშვილი გია	24	ცხოვრებაშვილი გიორგი
7	იმნაძე ნინო	16	ნახუცრიშვილი ოთარი	25	წულუკიძე გიორგი
8	მაისურაძე მარინე	17	სალუქვაძე გიორგი	26	ხაბეიშვილი ნინო
9	მალალურაძე მარიამი	18	ტიტვინიძე ზურაბი	27	ხვედელიანი ნუგზარი

ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები ძნელაძე რევაზი და ასათიანი ავთანდილი.

პროგრამას თან ერთვის პროგრამის განმახორციელებელი პირების, მათ შორის ხელმძღვანელის CV.

**თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 4**

**პროგრამის საგნობრივი დატვირთვა**

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი						
			I წელი		II წელი		III წელი		
			I	II	III	IV	V	VI	
	<b>სასწავლო კომპონენტი</b>								
1	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	არ აქვს	5						
2	სწავლების მეთოდები	არ აქვს	5						
3	პროფესორის ასისტენტობა	არ აქვს		5					
4	არქიტექტურის ხელოვნება	არ აქვს	10						
5	სივრცე, ფორმა, კომპოზიცია	არ აქვს		5					

6	პირველი თემატური სემინარი	არ აქვს			15		
7	მეორე თემატური სემინარი	პირველი თემატური სემინარი				15	
სასწავლო კომპონენტი სემესტრში:			20	10	15	15	---
სასწავლო კომპონენტი სულ:			60				
კვლევითი კომპონენტი							

### სწავლის შედეგების რუკა

№	სასწავლო კომპონენტი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	+	+	+	+		
2	სწავლების მეთოდები	+	+	+	+		+
3	პროფესორის ასისტენტობა	+	+	+	+	+	+
4	არქიტექტურის ხელოვნება	+	+	+	+	+	+
5	სივრცე, ფორმა, კომპოზიცია	+	+	+	+		+
6	პირველი თემატური სემინარი	+	+	+	+	+	+
7	მეორე თემატური სემინარი	+	+	+	+	+	+

### პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	სასწავლო კომპონენტი	ESTS კრედიტი/საათი	საათი						
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	მუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	HEL10712G1-LS	აკადემიური წერა და	5/125	15	30			2	2	76

		სამეცნიერო კვლევის მეთოდები								
2	EDU13102G1-LS	სწავლების მეთოდები	5/125	15	30			2	2	76
3	AAC18106G1-L	არქიტექტურის ხელოვნება	10/250	75				2	2	171
4	AAC18206G1-L	სივრცე, ფორმა, კომპოზიცია	5/125	45				2	2	76

პროგრამის ხელმძღვანელი

მედეა მელქაძე

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის  
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ნინო ხაბეიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ნინო იმნაძე

**მიღებულია**

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
3 ივლისი 2012 წელი  
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

დავით მახვილაძე

**მოდირიგებულია**

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N3)  
18 მარტი 2021 წელი  
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ნინო იმნაძე